სახელმძღვანელო მითითებები ახალ მონეტარულ ზღვრებთან და ტენდერის/კონკურსის მიმდინარეობის ხანგრძლივობებთან დაკავშირებით

2017 წლის 19 ივლისიდან სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. გარკვეული ცვლილებები შეეხო როგორც სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ზოგად პრინციპებსა და წესებს, ასევე შესყიდვის განხორციელების ეტაპზე მოქმედ რეგულაციებს.

ცვლილებები ემსახურება, ერთის მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების საფუძველზე პირველი ფაზით[1] ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხოლო მეორეს მხრივ, შესყიდვებთან დაკავშირებული, საუკეთესოდ აღიარებული პრაქტიკის კანონმდებლობაში დანერგვას.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, გააცნოს მკითხველს ის ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება ელექტრონული შესყიდვის საშუალებების ახალ სახელწოდებებს, მონეტარულ ზღვრებსა და მონეტარული ზღვრებიდან გამომდინარე ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობის ხანგრძლივობის შერჩევის წესებს (მინიმალური ვადები სატენდერო წინადადების გაცნობისა და წინადადების წარდგენისათვის).

2017 წლის 19 ივლისიდან მოქმედი წესების მიხედვით, ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს კონკურსის, ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით[2]. ამასთან, 2023 წლის 19 აპრილიდან

[1] სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პირველი ფაზა იწურება 2017 წლის 1 სექტემბერს.

[2] საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მუხლი 10^1, პუნქტი 1

მოქმედი წესების მიხედვით, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა[3], ელექტრონული ტენდერი წარმოადგენს საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში – 10 000 ლარის ან 10 000 ლარზე მეტი ღირებულების ერთგვაროვანი საქონლის ან მომსახურების, ხოლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – 20 000 ლარის ან 20 000 ლარზე მეტი ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის საშუალებას, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ პროცედურებს. შემსყიდველ ორგანიზაციას, მისი შეხედულებისამებრ, შეუძლია ისარგებლოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებული ელექტრონული ტენდერის განსხვავებული მეთოდებით. დღესდღეობით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დანერგილია ელექტრონული ტენდერის შემდეგი მეთოდები:

ცხრილი 1: *ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებული, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ხელმისაწვდომი ტენდერის მეთოდები*

ტენდერის აბრევიატურა	მოკლე აღწერა	შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი
SPA	რევერსული აუქციონის მეთოდის ტენდერი, ელექტრონული ვაჭრობის სამი რაუნდით	„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება.
NAT	ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე	ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 39-ე მუხლი.
DAP	სამუშაოს შესყიდვის ალტერნატიული საშუალება, პრეტენდენტების ერთდროულად შეფასებით	ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-40 მუხლი.

[3] რომლების დადგენილია საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-3 მუხლის ს[1] პუნქტის შესაბამისად

MEP	ორ ეტაპად – ფასისა და სხვა თვლადი კრიტერიუმების გათვალისწინებით.	„ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანება
TEP	ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით.	ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 41-ე მუხლი.

გარდა ზემოაღნიშნული ტენდერის მეთოდებისა, საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისას, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ალტერნატიული შესყიდვის საშუალება - **კონკურსი** (რომელიც ერთიან ელექტრონულ სისტემაში აღინიშნება **CNT** აბრევიატურით).

სიახლეს წარმოადგენს ის, რომ როგორც ელექტრონული ტენდერის განსხვავებულ მეთოდებზე, ასევე კონკურსზე გავრცელდა ტენდერის მიმდინარეობების ერთიანი მინიმალური ხანგრძლივობები - მინიმალური დრო, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეცემა იმისათვის, რათა გაეცნოს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციას და წარადგინოს მისი სატენდერო/საკონკურსო წინადადება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ელექტრონული შესყიდვის საშუალების მიმდინარეობის მინიმალური ხანგრძლივობა განსხვავდება საქონლის, მომსხურების სამუშაოს მიხედვით - როგორც წესი სამშენებლო სექტორში სატენდერო წინადადების შემუშავება მეტ დროს საჭიროებს. შესაბამისად, ცვლილებების ამოქმედებიდან, სამშენებლო სფეროში გამოცხადებული ტენდერის მიმდინარეობის მინიმალური ხანგრძლივობა აღემატება ანალოგიური სავარაუდო ღირებულების მქონე ტენდერის მიმდინარეობის ხანგრძლივობას, რომელიც გამოცხადებულია საქონლის ან მომსახურების შესყიდვის მიზნით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონმდებლობაში აისახა ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევის[4] მიხედვით დადგენილი გარკვეული მონეტარული ზღვრები, რომლებიც ორი წლის პერიოდულობით დაექვემდებარება გადახედვას ევროკომისიის მიერ და ცვლილებებს შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში დირექტივის ცვლილებების შესაბამისად.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 2 აღწერს მოქმედ მინიმალურ ვადებს, მონეტარულ ზღვრებს შესყიდვის ობიექტის სახეობების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ცხრილში მოყვანილი მონეტარული ზღვრები მჭიდრო კავშირშია შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესთან, რომლის მიხედვით, შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება განისაზღვრება კლასიფიკატორის დანაყოფების (CPV კოდის პირველ სამი ციფრის შესაბამისად) მიხედვით. შესაბამისად, ცვლილებების განხორციელებამდე დამკვიდრებული მიდგომის მსგავსად, შერჩეული ელექტრონული შესყიდვის საშუალების მინიმალურ მიმდინარეობის ხანგრძლივობას განსაზღვრავს შესყიდვების წლიურ გეგმაში ერთგვაროვან შესყიდვის ობიექტთა ჯამური სავარაუდო ღირებულება. გასათვალისწინებელია ის, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ შესყიდვის საშუალებაში (ცალკეულ ელექტრონულ ტენდერში/კონკურსში) განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება ევროკავშირის დირექტივით დადგენილ ზღვარს, შესყიდვის პროცედურა საჭიროა წარიმართოს დირექტივაში განსაზღვრული, მე-2 ცხრილში მოყვანილი ვადების შესაბამისად.

[4] ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე რუბრიკაში სამოქმედო გეგმები

ცხრილი 2: *მონეტარული ზღვრები და მინიმალური ვადები შესყიდვის ობიექტის სახეობების მიხედვით*

შესყიდვის საშუალება	შესყიდვის ობიექტი	მონეტარული ზღვარი	გაცნობის და წინადადების წარდგენის ვადა
ელექტრონული ტენდერი/კონკურსი	საქონელი და მომსახურება	10.000-დან 150.000 ლარამდე	7 (5+2) კალენდარული დღე
		150.000 ლარი და მეტი	10 (7+3) კალენდარული დღე
	სამუშაო	20.000-დან 300.000 ლარამდე	10 (7+3) კალენდარული დღე
		300.000 ლარი და მეტი	20 (15+5) კალენდარული დღე
შესყიდვა ევროკავშირის მონეტარულ ზღვარს ზევით	საქონელი და მომსახურება	140.000 ევრო და მეტი	30 (25+5) კალენდარული დღე
	სამუშაო	5.382.000 ევრო და მეტი	

სიახლეს წარმოადგენს ასევე ის, რომ სატენდერო პირობებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, სატენდერო პირობების გაცნობის ვადა გრძელდება ელექტრონული ტენდერის გამოცხადებიდან/წინა ცვლილებიდან შესაბამისი ცვლილების განხორციელებამდე გასული ვადით, რაც ემსახურება კერძო სექტორის ინტერესებს. მაგალითად, თუკი ელექტრონული ტენდერის გამოცხადებიდან მე-5 დღეს შემსყიდველი ორგანიზაცია შეიტანს ცვლილებას სატენდერო დოკუმენტაციაში, ტენდერის მიმდინარეობის ხანგრძლივობა ავტომატურად გაიზრდება ხუთი დღით.

<u>გთხოვთ გაითვალისწინოთ:</u>

- 2017 წლის 19 ივლისიდან შესყიდვის ელექტრონულ საშუალებებზე - ელექტრონული ტენდერის განსხვავებულ მეთოდებსა და კონკურსზე გავრცელდა ერთიანი, სტანდარტული მინდინარეობის ხანგრძლივობები - ელექტრონული შესყიდვის მიმდინარეობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მხოლოდ მონეტარულ ზღვრებსა და შესყიდვის ობიექტის სახეობაზე (საქონელი, მომსახურება თუ სამუშაო) მიუხედავად იმისა, თუ რომელი შესყიდვის საშუალება იქნა შერჩეული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ;
- 2023 წლის 19 აპრილიდან მოქმედი წესების თანახმად, ელექტრონული ტენდერი წარმოადგენს საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში – 10 000 ლარის ან 10 000 ლარზე მეტი ღირებულების ერთგვაროვანი საქონლის ან მომსახურების, ხოლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – 20 000 ლარის ან 20 000 ლარზე მეტი ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის საშუალებას, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ პროცედურებს;
- კანონმდებლობით დადგენილი ვადები წარმოადგენს მინიმალურ ვადებს. შესაბამისად, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მინიმალური ვადა არ არის საკმარისი სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობისა და სატენდერო წინადადების შემუშავებისათვის, მას შეუძლია განსაზღვროს დადგენილზე უფრო ვრცელი ხანგრძლივობები;
- იმ შემთხვევაში თუ ცალკეული შესყიდვის საშუალების ფარგლებში განსაზღვრული სავარაუდო ღირებულება აღემატება ევროკავშირის დირექტივით დადგენილ ზღვრებს, შესყიდვაზე ვრცელდება ვრცელი, ევროკავშირის შესაბამის დირექტივაში მოცემული ვადები;

გამომდინარე იქედან რომ სატენდერო პირობებში ცვლილების შეტანა ახანგრძლივებს სატენდერო პირობების გაცნობის ვადას ელექტრონული ტენდერის გამოცხადებიდან/წინა ცვლილებიდან შესაბამისი ცვლილების განხორციელებამდე გასული ვადით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მოგიწოდებთ კიდევ უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდოთ სატენდერო დოკუმენტაციების შედგენას და გადამოწმებას შესაბამისი შესყიდვის გამოცხადებამდე.